საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

- ცვლილების სახეობა: საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- საკითხი ა) საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების საფუძვლის განსაზღვრა განსაზღვრა თანამემამულის სტატუსის მქონე პირებთან მიმართებით. კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საგარეო საქმეთა სამინისტროს 01/6063 12/03/2021 წერილით მიღებული ინფორმაციით, რომ ვიხელმძღვანელოთ, არაოფიციალური მონაცემებით, საზღვარგარეთ საქართველოს მილონ ნახევრამდე მოქალაქე იმყოფება. მათ შორის მოისაზრება რამდენიმე ათასი თანამემამულის სტატუსის მქონე პირიც, რომელთა შორისაც არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეებიც. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 07/11/2023 12441 წერილით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თანამემამულის სტატუსის მოპოვების მსურველ პირთა რაოდენობა არც თუ დიდია (თანამემამულის სტატუსის დადგენაზე დადებითად დასრულებული საქმეები 2012 წლიდან 2023 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით - 3275 პირი იყო, რომელთა შორისაც სავარაუდოა უნდა იყოს, როგორც საქართველოს ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეც). უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე ასევე განიმარტება, როგორც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც აქვს საქართველოდან წარმომავლობა <u>ან/და რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართველურ-კავკასიურ ენებს</u>. ამასთან, ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მიღების უფლება ასევე ვრცელდება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის <u>სტატუსის მაძიებელი პირის ახლო ნათესავებ ზე</u>. თავისთავად მოცემულ პირთა წრეში შეიძლება მოხვდნენ ისეთი პირებიც - რომელთაც არ მიაჩნდეთ საქართველო თავის სამშობლოდ, მის წინაპრად, თუმცა გააჩნდეთ საქართველოსადმი დადებითი/ სენსიტიური დამოკიდებულება და ოჯახის ერთიანობის მიზნებიდან გამომდინარე სურდეთ საქართველოს მოქალაქეობის მიღება. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად - საქართველოს სახელმწიფო ხელს უწყობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს საქართველოსთან კავშირისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში და საქართველოში დაბრუნებაში. საქართველოს მოქალაქეობასთან არის დაკავშირებული რიგი უფლებებისა, რომლებიც უბიძგებს თანამემამულის სტატუსის მქონე პირებს, დასახლდნენ საქართველოში და დაუკავშირონ საკუთარი მოქალაქეობრივი უფლებები ამ ქვეყანას. სწორედ, რომ ზემოხსენებული კატეგორიის პირები შესაძლოა ვერ ჯდებოდნენ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრულ პირთა წრეში და შესაბამისად ვერ შეძლონ საქართველოს მოქალაქეობის მიღება (უცხო ქვეყნის

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-14966/23
24 11 2023 ფურცელი 16

მოქალაქეობის შენარჩუნების გზით). ამ მიზნით, სასურველი იქნებოდა მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს დამატებოდა ქვემოაღნიშნული რედაქციის მქონე ქვეპუნქტი:

- თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე.

საკითხი ბ) საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების საფუძვლის განსაზღვრა განსაზღვრა თანამემამულის სტატუსის მქონე პირებთან მიმართებით. განსხვავებით საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მინიჭებისა, შესაძლოა კიდევ მეტად ლოგიკური იყოს ეთნიკურად ქართველი ან/და საქართველოს ყოფილი მოქალაქეებისათვის ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მიღების პროცედურის გამარტივება. დღეს მოქმედი რეგულაციის შესაბამისად, ნატურალიზაციის/ გამარტივებული გზით მოქალაქეობის მინიჭება ხდება, როგორც საქართველოს მოქალაქესთან ქორწინებაში მყოფ პირებთან მიმართებით, ასევე, რეპატრიანტებთან[1] მიმართებითაც (საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის 14-ე მუხლი). საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სახეებიდან გამარტივებული გზით მინიჭების ერთ-ერთ მთავარ პრინციპს უნდა წარმოადგენს ის, რომ დაინტერესებულ პირს საერთო წესისგან განსხვავებით, შედარებით იოლი პირობების დაკმაყოფილება მოეთხოვება. შედარებისთვის - მნიშვნელოვნად განსხვავდება საფასურის ოდენობები გამარტივებული და საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის დროს, ასევე განსხვავდება თანამემამულის სტატუსის მინიჭების ვადები და საფასურის ოდენობა (იხილეთ ცხრილი). თუმცა, პირობითად საქართველოს ყოფილ მოქალაქეს ან თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც ჯამში საქართველოში ცხოვრების 10 წლიანი პერიოდი უგროვდება ან/და მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნის წარდგენამდე საქართველოში მუდმივად ცხოვრობს არანაკლებ 5 წლის განმავლობაში შესაძლოა გაუჩნდეს არათანასწორი დამოკიდებულების განცდა[2] თუ საგამონაკლისო წესით მოქალაქეობა იგივე პირობებით თუ მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში მიენიჭება იმ პირს, რომელსაც საქართველოში ნამყოფიც კი შეიძლება არ იყოს. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის,

---

[1] კანონით დადგენილ ვადებში რეპატრიანტის სტატუსის მოთხოვნით წარმოდგენილ იქნა 5841 განაცხადი, საიდანაც ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვით რეპატრიანტის სტატუსი მიენიჭა 1998 პირს. დღეის მდგომარეობით, პირობადებული მოქალაქეობა მიენიჭა 494 რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირს - ყველა იმ პირს, ვინც სახელმწიფოს მომართა მოქალაქეობის მისაღებად. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული: https://smr.gov.ge/ge/page/34/repatriaciis-sakitxebi

[2] თანასწორობა უნდა ნიშნავდეს შესაძლებლობების თანასწორ უზრუნველყოფას, რაც ადამიანებს მისცემს ამა თუ იმ სფეროში თვითრეალიზაციის საშუალება. თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოში დემოკრატიული მმართველობის საფუძველი უნდა იყოს. ბ. ძამაშვილის სადოქტორო ნაშრომის (თემაზე - თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში; ნაწილი - დისკრიმინაციის სამართლებრივი მნიშვნელობა და მისი ელემენტები; გვ. 18) მიხედვითაც - „საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების გათვალისწინებით, უნდა გამოიყოს დისკრიმინაციის შემდეგი ელემენტები: 1) ქმედება - განსხვავებული მოპყრობა; 2) შესადარებელი კატეგორია - ვისთან მიმართებითაც დგინდება განსხვავებული მოპყრობა; 3) ქმედების მიზეზი - ნიშნის არსებობა, რის გამოც პირს განსხვავებულად მოეპყრნენ; 4) ქმედების მიზანი ან შედეგი - არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება; 5) განსხვავებული მოპყრობის ობიექტური ან გონივრული განმარტების არსებობა". წყარო: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Beqa_Dzamashvili.pdf

პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით (საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი). შესაბამისად, იმ რეპატრიანტების მსგავსად, თანამემამულის სტატუსის პირებსაც ლოგიკურია, რომ გააჩნდეთ შესაძლებლობა გამარტივებული წესით მიიღონ მოქალაქეობა იმ დათქმით, რომ საქართველოში მათ ჯამურად ექნებათ ნაცხოვრები 10 წლის განმავლობაში ან/და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მუდმივად 5 წლის განმავლობაში. თუმცა, ამ ვითარებაში ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათ შეინარჩუნონ მათი წინა/ პირვანდელი მოქალაქეობაც.

განხილვის ვადა	ჩვეულებრივი წესით	გამარტივებული წესით	საგამონაკლისო წესით	აღდგენის წესით	თანამემამულის სტატუსის მოპოვებისათვის
80-ე კალენდარულ დღეს მომზადებისათვის	65 ლარი	65 ლარი	500 ლარი	- - -	150 ლარი
70-ე კალენდარულ დღეს მომზადებისათვის	- - -	- - -	- - -	- - -	150+100 ლარი
60-ე კალენდარულ დღეს მომზადებისათვის	130 ლარი	130 ლარი	700 ლარი	- - -	- - -
40-ე კალენდარულ დღეს მომზადებისათვის	260 ლარი	260 ლარი	- - -	- - -	- - -
30 კალენდარული დღის ვადაში	- - -	- - -	1000 ლარი	130 ლარი	- - -
20-ე კალენდარულ დღეს მომზადებისათვის	390 ლარი	390 ლარი	- - -	195 ლარი	- - -

ზემოხსენებულის შესაბამისად, სასურველია, რომ საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლს, მეორე პუნქტის შემდგომ, დაემატოს მსგავსი რედაქციის მქონე პუნქტ(ებ)ი:

- თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 5 წლის განმავლობაში ან/და საქართველოში ცხოვრობდა ჯამში არანაკლებ 10 წლის განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეობა გამარტივებული წესით მიენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

ან/და

- <u>საქართველოს ყოფილ მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა დაკარგული აქვს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო</u> და რომელიც კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადების წარდგენის დღემდე ბოლო 5 წლის განმავლობაში ან/და საქართველოში ცხოვრობდა ჯამში არანაკლებ 10 წლის განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეობა გამარტივებული წესით მიენიჭება, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების მოთხოვნებს.

ამასთან, მოცემული პუნქტის პროექტის შესაბამისად, ჩვეულებრივი წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნებისგან (კანონის 12 მუხლი) განსხვავებით მარტივდება იქიდან გამომდინარე, რომ ნაცვლად მუდმივად ცხოვრების 10 წლიანი პერიოდისა, საქართველოს ყოფილ მოქალაქეებს ან/და თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მოეთხოვებათ მხოლოდ მუდმივად ცხოვრების 5 წელი ან ჯამში საქართველოში ცხოვრების 10 წლიანი პერიოდი (სასურველია ორივე პუნქტის ვერსიის მიღება). შედეგად, ყოფილ მოქალაქეებთან მიმართებით ზემოხსენებული ნორმის გავრცელება სავარაუდოა, რომ წაახალისოს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნის მომართვიანობა, რაც საბოლოო ჯამში დემოგრაფიული სტატისტიკის გაუმჯობესებაზეც იმოქმედებს, ხოლო საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ერთგვარ წინა ეტაპად თანამემამულის სტატუსის მოპოვების განსაზღვრა, სავარაუდოა, რომ ხელს შეუწყობს საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის სათანადო აღსრულების პროცესს).

ICMPD
International Centre for Migration Policy Development

Table 1. Number of Foreign Citizens in Greece by Top Countries and Regions of Origin, 2011[4]

Region/Country	Number of Foreign Born
EUROPE	663,095
Albania	480,851
Bulgaria	75,917
Romania	46,524
Georgia	27,407
Ukraine	17,008
United Kingdom	15,388
AFRICA	
Egypt	10,455
ASIA	56,587
Pakistan	34,178
India	11,333
Bangladesh	11,076

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted];
ელ. ფოსტა: [redacted] რეგისტრაციის
ადგილი: [redacted]

23/11/2023

ასეთია „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ პარლამენტის წევრის ანა ნაცვლიშვილის სადეპუტატო კითხვის პასუხად გაგზავნილი მონაცემები.

კერძოდ, ამ მონაცემების თანახმად, მხოლოდ 2023 წელს 28 სექტემბრის მდგომარეობით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღების გამო საქართველოს მოქალაქეობა 2 189 პირს შეუწყდა. სტატისტიკა ყველაზე მაღალი იყო 2013 წელს, როდესაც აღნიშნული მიზეზით საქართველოს მოქალაქეობაზე უარი – 11 758 პირს ეთქვა.

წლების მიხედვით კი, რუსეთის მოქალაქეობის გამო საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის სტატისტიკა ასე გამოიყურება:

2013 წელი – 11 758 პირი;
2014 წელი – 2 874 პირი;
2015 წელი – 2 523 პირი;
2016 წელი – 1 071 პირი;
2017 წელი – 1 206 პირი;
2018 წელი – 877 პირი;
2019 წელი – 692 პირი;
2020 წელი – 252 პირი;
2021 წელი – 354 პირი;
2022 წელი – 1 358 პირი;
2023 წელი (28 სექტემბრის მდგომარეობით) – 2 189 პირი.

← ირაკლი ღარიბაშვილმა თელავში, უწგრეთის პრემიერ-მინისტრთან ერთად პრესკონფერენცია გამართა

აივნიანი ქალაქი თელავი – ფოტორეპორტაჟი →

swisscapital



ბოლო 10 წელიწადში საქართველოს მოქალაქეობა 43 488 პირს შეუწყდა. ამის მიზეზი კი სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებაა. ასეთია „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ პარლამენტის წევრის ანა ნაცვლიშვილის სადეპუტატო კითხვის პასუხად გაგზავნილი მონაცემები.

კერძოდ, ამ მონაცემების თანახმად, მხოლოდ 2023 წელს 28 სექტემბრის მდგომარეობით, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო საქართველოს მოქალაქეობა 3 006 პირს შეუწყდა. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკა ყველაზე მაღალი იყო 2013 წელს, როდესაც აღნიშნული მიზეზით საქართველოს მოქალაქეობა – 19 339 პირს შეუწყდა.

წლების მიხედვით კი, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების გამო საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის სტატისტიკა ასე გამოიყურება:

- 2013 წელი – 19 339 პირი;
- 2014 წელი – 4 816 პირი;
- 2015 წელი – 4 571 პირი;
- 2016 წელი – 2 138 პირი;
- 2017 წელი – 2 575 პირი;
- 2018 წელი – 1 739 პირი;
- 2019 წელი – 1 353 პირი;
- 2020 წელი – 680 პირი;

პატივისცემით,
თეა ლეკვეიშვილი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

საქართველოს კანონი

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კან ონის მიზანია, განსაზღვროს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან მიმართებით საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები და ჩამოაყალიბოს ამ პოლიტიკის განსახორციელებლად საქარ თველოს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის საფუძვლები, ასევე განსაზღვროს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულისა და დიასპორული ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი.

მუხლი 2. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან მიმართებით საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპები

1. საქართველოს სახელმწიფო უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, მათ შორის, სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრინციპებს.

2. საქართველოს სახელმწიფო ხელს უწყობს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს საქართველოსთან კავშირისა და ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაში და საქართველოში დაბრუნებაში.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირი – პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ითხოვს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მიღებას;

ბ) უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე – საქართველოს მოქალაქე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში, ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც აქვს საქართველოდან წარმომავლობა ან/და რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართველურ- კავკასიურ ენებს;

გ) საქართველოდან წარმომავლობა – პირის ან მისი წინაპრის კუთვნილება საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები რომელიმე ეთნიკური ჯგუფისადმი და მის მიერ საქართველოს აღიარება თავის წარმომავლობის ქვეყნად;

დ) წინაპარი – პირის აღმავალი შტოს ხუთი თაობა;

ე) ახლო ნათესავები – უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მეუღლე და შვილი;

ვ) დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენელი – შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის მიერ დანიშნული პირი, რომელიც უზრუნველყოფს სხვა სახელმწიფოში (ადგილსამყოფელ სახელმწიფოში) არსებული დიასპორის საქართველოს სახელმწიფოსთან ურთიერთობის საერთო კოორდინაციას და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსი;

ზ) დიასპორული ორგანიზაცია – გაერთიანება, რომელიც შექმნილია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ქართული კულტურის, საქართველოს სახელმწიფო ენის, ტრადიციების პოპულარიზაციის, დიასპორების შეკავშირების, საქართველოსთან კულტურულ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სპორტულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობის მიზნით;

თ) შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან არსებული დიასპორული ორგანიზაციების რეესტრი (შემდგომ – რეესტრი) – დიასპორული ორგანიზაციების სისტემატიზაციის მიზნით შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან შექმნილი მონაცემთა ბაზა დიასპორული ორგანიზაციების შესახებ;

ი) დიასპორა – უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ერთობლიობა.

მუხლი 4. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მიღების პირობები

1. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსი ამ კანონის შესაბამისად შეიძლება მიიღოს სრულწლოვანმა პირმა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ხანგრძლივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში;

ბ) არის სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელსაც აქვს საქართველოდან წარმომავლობა ან/და რომლის მშობლიური ენა მიეკუთვნება ქართველურ- კავკასიურ ენებს.

2. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის საქართველოდან წარმომავლობა ან/და მისი მშობლიური ენის ქართველურ-კავკასიური ენებისადმი კუთვნილება დასტურდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული სათანადო დასკვნით. შესაბამისი სახელმწიფო ორგანო უფლებამოსილია უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის საქართველოდან წარმომავლობის ან/და მისი მშობლიური ენის ქართველურ-კავკასიური ენებისადმი კუთვნილების დადასტურების მიზნით გამოიყენოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებე ლი პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ან მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მის საქართველოდან წარმომავლობას ან/და მისი მშობლიური ენის ქართველურ-კავკასიური ენებისადმი კუთვნილებას, ასევე

აღნიშნული პირის მიერ წარმოდგენილ იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებ იც საქართველოს მოქალაქეები არიან, ან/და იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელიც დაინტერესებულია უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებ თან დაკავშირებული საკითხებით.

3. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსი არასრულწლოვან პირს მიენიჭება ერთ-ერთი მშობლის განცხადების საფუძველზე.

4. (ამოღებულია - 20.09.2013, №1252).

საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6454 – ვებგვერდი, 25.06.2012წ.
საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1252 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 5. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო დოკუმენტები

1. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს:

ა) 2 ფოტოსურათი;

ბ) პასპორტი ან მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;

გ) (ამოღებულია – 25.05.2012, №6301);

დ) (ამოღებულია – 12.06.2012, №6454);

ე) (ამოღებულია – 12.06.2012, №6454);

ვ) სამოტივაციო წერილი;

ზ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტებს შესაძლებელია დაერთოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის დაბადების მოწმობა ან დაბადების მოწმობის შემცვლელი დოკუმენტი, იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის დახასიათება - შუამდგომლობა, რომლის წევრიც არის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირი, ასევე დოკუმენტი ან მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის საქართველოდან წარმომავლობას ან/და მისი მშობლიური ენის ქართველურ-კავკასიური ენებისადმი კუთვნილებას.

3. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმას ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

4. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მისაღებად დოკუმენტები წარდგენილ ი უნდა იქნ ე ს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ ქართულენოვან თარგმანთან ერთად. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი შეიძლება წარდგენილ იქნეს ამ პუნქტის მოთხოვნის დაუცველად, თუ იგი შეიცავს პირის პერსონალურ მონაცემებს ლათინური ტრანსლიტერაციით.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6317– ვებგვერდი, 19.06.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6454 – ვებგვერდი, 25.06.2012წ.

მუხლი 6. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭების წესი

1. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მისაღებად უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირი განცხადებას პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით წარუდგენს სააგენტოს. უცხოეთში მყოფ პირს შეუძლია განცხადება წარუდგინოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას, რომელიც განცხადებას შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში გადაუგზავნის სააგენტოს.

2. განცხადება შესაძლებელია წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით, სააგენტოს ინტერნეტგვერდზე განთავსებული განცხადების ფორმის შევსების გზით.

3. განცხადების ფორმა ივსება ქართულ ან/და ინგლისურ ენაზე (ენებზე).

4. თუ სააგენტო დაადგენს, რომ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის მიერ წარდგენილი დოკუმენტები არასრულია, მას განესაზღვრება გონივრული ვადა აღმოჩენილი ხარვეზის გამოსასწორებლად. სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია განცხადება განუხილველად დატოვოს.

5. სააგენტო ამოწმებს წარდგენილ დოკუმენტებს და პირის ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას. ამ მიზნით იგი განცხადების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საქმის მასალებს უგზავნის შესაბამის სახელმწიფო ორგანოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის საქართველოდან წარმომავლობის ან/და მისი მშობლიური ენის ქართულ-კავკასიურრ ენებისადმი კუთვნილების შესახებ დასკვნისათვის, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს – კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის თვალსაზრისით პირისათვის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნისათვის.

6. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის საქართველოდან წარმომავლობის ან/და მისი მშობლიური ენის ქართველურ-კავკასიური ენებისადმი კუთვნილების შესახებ დასკვნის მომზადების მიზნით შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან იქმნება კომისია შესაბამისი ექსპერტების, მათ შორის, ენათმეცნიერების შემადგენლობით. კომისიის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება

შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანებით.

7. შესაბამისი სახელმწიფო ორგანო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ვალდებული არიან, სააგენტოს დასკვნები წარუდგინონ საქმის მასალების მიღებიდან 2 თვის ვადაში.

8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული საქმის მასალების მიღებიდან 2 თვის ვადაში სააგენტოსთვის დასკვნის წარუდგენლობის შემთხვევაში ითვლება, რომ არ არსებობს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის თვალსაზრისით პირისათვის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

8[1]. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ ამ მუხლის მე -5 პუნქტში აღნიშნული მასალების მიღებიდან 60 დღის ვადაში სააგენტოსათვის დასკვნის წარუდგენლობა არის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი და სააგენტო განცხადების მიღებიდან 80 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირისათვის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

9. თუ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტითა და მე -5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და არ არსებობს ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები, სააგენტო პირს ანიჭებს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსს და მოთხოვნის შემთხვევაში მასზე გასცემს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს – უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობას.

10. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მიღების უფლება ასევე ვრცელდება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის ახლო ნათესავებ ზე. მათზე არ ვრცელდება საქართველოდან წარმომავლობის ან/და მათი მშობლიური ენის ქართველურ-კავკასიური ენებისადმი კუთვნილების დადასტურების ვალდებულება.

11. სააგენტო უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მიღების შესახებ განცხადებას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს განცხადების მიღებიდან 80 დღის ვადაში.

12. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებისა და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის გაცემისათვის სააგენტოს მომსახურების საფასური განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

13. სააგენტო უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელ პირთან კომუნიკაციას ახორციელებს სააგენტოს ინტერნეტგვერდზე შესაბამისი შეტყობინების გამოქვეყნების გზით. სააგენტოსთვის განცხადების წარდგენისას პირი უფლებამოსილია მიუთითოს სააგენტოსთან კომუნიკაციის დამატებითი ფორმა – ელექტრონული ფოსტა. ელექტრონული ფოსტის მითითების შემთხვევაში პირთან კომუნიკაცია ხორციელდება სააგენტოს ინტერნეტგვერდისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6454 – ვებგვერდი, 25.06.2012წ.
საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3963 - ვებგვერდი, 15.07.2015წ.

მუხლი 7. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მისაღებად სააგენტოსთვის განმეორებით მიმართვის საფუძვლები

1. თუ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელ პირს ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით უარი ეთქვა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე, იგი უფლებამოსილია განმეორებით მიმართოს სააგენტოს უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

2. თუ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელ პირს ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ან „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით უარი ეთქვა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე, ან თუ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეს უკვე მიღებული სტატუსი შეუწყდა ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ" ან „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით, მას არა აქვს უფლება, განმეორებით მიმართოს სააგენტოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მისაღებად.

მუხლი 8. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა

1. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა არის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა მფლობელის ფოტოსურათთან ერთად უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) სახელი, გვარი;
ბ) დაბადების თარიღი;
გ) დაბადების ადგილი;
დ) სააგენტოს მიერ მინიჭებული პირადი ნომერი;
ე) პირადი ხელმოწერა;
ვ) მოქალაქეობა;
ზ) მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება;
თ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერა;
ი) მოწმობის გაცემის თარიღი და მოწმობის მოქმედების ვადა;

კ) მოწმობის ნომერი;
ლ) ბეჭედი.
3. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის ფორმას, მისი რეკვიზიტების შევსების (მათ შორის, კონკრეტული რეკვიზიტის არარსებობის ან დაუდგენლობის შემთხვევაში), ამ მოწმობის გაცემისა და გაუქმების წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
4. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა 20 წლამდე ასაკის პირზე გაიცემა 3 წლის ვადით, 20-დან 65 წლამდე ასაკის პირზე – 10 წლის ვადით, ხოლო 65 წელზე მეტი ასაკის პირზე – უვადოდ. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში პირი სააგენტოს მიმართავს ახალი მოწმობის გაცემის მოთხოვნით.
5. სახელის, გვარის ან მოქალაქეობის შეცვლისას, აგრეთვე ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის მფლობელი ვალდებულია ამის შესახებ 30 დღის განმავლობაში აცნობოს სააგენტოს ან შესაბამის სახელმწიფო ორგანოს. ასეთ შემთხვევაში პირზე გაიცემა ახალი მოწმობა.
6. პირი უფლებამოსილია შეცვალოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა შემდეგ შემთხვევებში:
ა) მოწმობის მოქმედების ვადის გასვლისას;
ბ) გამოყენების ა თვის უვარგისობისას (გაცვეთა, დაზიანება) ან დაკარგვისას.
7. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა ძალას კარგავს.
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონი №2638 – ვებგვერდი, 06.07.2018წ.

მუხლი 9. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები
1. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლებია:
ა) კომპეტენტური ორგანოს დასკვნა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მაძიებელი პირის მიერ საქართველოს ინტერესების საზიანოდ ქმედების განხორციელების შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით პირისათვის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭების მიზანშეუწონლობის თაობაზე;
ბ) პირის მიერ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მისაღებად არასწორი მონაცემების ან ყალბი დოკუმენტების წარდგენა;
გ) ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მიღების პირობების დაუკმაყოფილებლობა ან შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ ამ კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული მასალების მიღებიდან 60 დღის ვადაში სააგენტოსათვის დასკვნის წარუდგენლობა.
2. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პირს ეცნობება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. სააგენტო არ არის ვალდებული, დაასაბუთოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.
4. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3963 - ვებგვერდი, 15.07.2015წ.

მუხლი 10. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები
1. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირის მიერ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის არასწორი მონაცემების ან ყალბი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე მიღება;
ბ) პირის მიერ ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული ქმედების განხორციელება;
გ) უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მიერ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენა;
დ) უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე გარემოების დადგენის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.
3. (ამოღებულია - 20.09.2013, №1252).
4. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში პირს ჩამოერთმევა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა.
5. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ეცნობებათ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1252 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.
საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3963 - ვებგვერდი, 15.07.2015წ.
საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №190 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.

მუხლი 11. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის უფლებები

1. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც კანონიერი საფუძვლით იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, სარგებლობს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით. გარდა ამისა, მას აქვს შემდეგი პრივილეგიები:

ა) სპორტის შესაბამის სახეობაში საერთაშორისო ფედერაციის თანხმობის შემთხვევაში უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ შეჯიბრებაში საქართველოს სახელით, ეროვნული ნაკრები გუნდის შემადგენლობაში;

ბ) თუ ის არის იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომლის მოქალაქეებსაც საქართველოში შემოსასვლელად ვიზა ესაჭიროებათ, უფლებამოსილია ვიზის გარეშე გადმოკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და იმყოფებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე არაუმეტეს 30 დღისა;

გ) საქართველოს მოქალაქეობის საკითხზე განცხადების შეტანისას მომსახურების საფასურს იხდის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული შეღავათიანი პირობებით;

დ) უფლებამოსილია კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფოს დაფინანსებით საქართველოში მიიღოს ზოგადი და უმაღლესი განათლება;

ე) საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, თუ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

2. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ დიასპორისთვის განკუთვნილ სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამაში.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6317– ვებგვერდი, 19.06.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 12 ივნისის კანონი №6437 – ვებგვერდი, 25.06.2012წ.
საქართველოს 2014 წლის 5 მარტის კანონი №2054 – ვებგვერდი, 17.03.2014წ.

მუხლი 12. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენცია

1. დიასპორული ორგანიზაციებისა და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის საერთო კოორდინაციას ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.

2. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ძირითადი ამოცანები და ფუნქციები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 13. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენელი

1. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენელს 3 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი. აღნიშნული ვადის იმავე ვადით გაგრძელება შესაძლებელია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

2. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენელი შეიძლება დაინიშნოს სხვა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში, რომელიც კომპაქტურადაა დასახლებული უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებით. შესაძლებელია რამდენიმე სახელმწიფოში დაინიშნოს დიასპორის საკითხებში საქართველოს ერთი საპატიო წარმომადგენელი.

3. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე ან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს :

ა) აქვს გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობა და მისთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულებისათვის აუცილებელი პიროვნული თვისებები;

ბ) მისი დანიშვნა გამომდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან;

გ) ფლობს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ენას;

დ) შეუძლია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს დიასპორაში საქართველოს პოლიტიკის მხარდაჭერა, საქართველოსა და ამ დიასპორას შორის ეკონომიკური, სამეცნიერო, სავაჭრო, ტურისტული, კულტურული, სპორტული და სხვა სახის ურთიერთობის განვითარების, საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

ე) არის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე.

4. სასურველია, დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლად დასანიშნ პირს გარკვეული დამსახურება მიუძღოდეს საქართველოს წინაშე ან/და იგი ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას.

5. პირი დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლად ინიშნება მისივე წერილობითი თანხმობით.

6. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენელს უფლებამოსილება უწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისას;

გ) უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის შეწყვეტისას;

დ) მოქალაქეობის დაკარგვისას (თუ არ მიუღია სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა);

ე) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოვალეობების შეუსრულებლობისას;

ვ) გარდაცვალებისას.

7. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლის საქმიანობის საერთო კოორდინაციას

ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.

8. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენელი:

ა) ხელს უწყობს საქართველოსა და შესაბამის დიასპორას შორის ურთიერთობებს;

ბ) ხელს უწყობს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობა ს;

გ) ხელს უწყობს დიასპორის ჩაბმას საქართველოში მიმდინარე პროცესებში;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ს;

ე) ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს პროექტებისა და პროგრამების კოორდინაციას ადგილსამყოფელ სახელმწიფოში;

ვ) აქტიურად მონაწილეობს დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობაში და ხელს უწყობს მათ კოორდინირებულ მუშაობას ;

ზ) შესაბამის სახელმწიფო ორგანოს აწვდის ინფორმაციას დიასპორასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ;

თ) პერიოდულად, აგრეთვე მოთხოვნისთანავე, შესაბამის სახელმწიფო ორგანოს წარუდგენს ინფორმაციას გაწეული საქმიანობის შესახებ;

ი) ხელს უწყობს შესაბამის დიასპორასა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოში სხვა მეგობარი სახელმწიფოების დიასპორებს შორის ურთიერთობას;

კ) ასრულებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის დავალებებს.

9. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენელი არ იმყოფება საქართველოს სახელმწიფო სამსახურში და საქმიანობას ახორციელებს საზოგადოებრივ საწყისებზე.

10. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლის მიერ ინიციი რებული პროექტები დაფინანსდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის წლიური საბიუჯეტო კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლის მიერ ინიციი რებული პროექტები შესაძლებელია აგრეთვე დაფინანსდეს სამინისტროებისათვის ან სახელმწიფო მინისტრების აპარატებისათვის წლიური საბიუჯეტო კანონით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე.

12. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენელი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ორგანოებთან ურთიერთობებს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელშეწყობითა და შუამდგომლობით.

13. (ამოღებულია - 22.12.2016, №190).

14. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან/და საკონსულო დაწესებულებაში დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლისთვის სამუშაო პირობების შექმნის შესახებ.

15. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენელი ვალდებულია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის მოთხოვნის საფუძველზე, პერიოდულად, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ერთხელ, ჩამოვიდეს საქართველოში საკუთარი ხარჯებით და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელს წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

16. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენელს შესაძლებელია ჰყავდეს მოადგილეები, რომლებსაც მისი წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი.

17. დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლის მოადგილე ასრულებს დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლის ცალკეულ დავალებებს.

საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №190 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.

მუხლი 14. დიასპორული ორგანიზაცია

1. დიასპორული ორგანიზაცია უზრუნველყოფს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებსა და საქართველოს შორის კულტურული და სამეცნიერო კავშირების გაღრმავებას, ხელს უწყობს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნას, საქართველოს სახელმწიფო ენის შესასწავლი პროგრამების შემუშავებას, კულტურული იდენტობის შენარჩუნებას, ერთობლივი პროექტების წარმატებულ განხორციელებას.

2. რეესტრში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) დიასპორული ორგანიზაციის სრული დასახელება;

ბ) დიასპორული ორგანიზაციის იურიდიული მისამართი;

გ) მონაცემები დიასპორული ორგანიზაციის დამფუძნებელთა შესახებ;

დ) დიასპორული ორგანიზაციის საქმიანობის მიზნები და ამოცანები;

ე) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ დიასპორული ორგანიზაცია შექმნილია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. რეესტრში დასარეგისტრირებლად დიასპორული ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ

მოთხოვნებს:

ა) შექმნილი უნდა იყოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) მის დამფუძნებელთა 2/3 მაინც უნდა იყოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე;

გ) მისი საქმიანობის მიზნები და ამოცანები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს.

4. დიასპორული ორგანიზაციის სტატუსის მისაღებად რეესტრში დარეგისტრირება სავალდებულოა.

5. დიასპორული ორგანიზაცია თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან და მონაწილეობს სხვადასხვა პროექტსა და პროგრამაში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს შუამდგომლობით.

საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №190 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.

მუხლი 15. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედებამდე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა და ამავე კანონის დებულებებიდან გამომდინარე შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღება.

2. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს, ძალადაკარგულად გამოაცხადოს „დიასპორის საკითხებში საქართველოს საპატიო წარმომადგენლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე " საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 17 სექტემბრის №761 ბრძანებულება.

3. ამ კანონით გათვალისწინებულ შესაბამის სახელმწიფო ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს 2016 წლის 22 დეკემბრის კანონი №190 - ვებგვერდი, 29.12.2016წ.

მუხლი 16. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2012 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მ. სააკაშვილი**

თბილისი,

2011 წლის 24 ნოემბერი.

№5301- IIს

იუსტიციის
სამინისტრო

ვახტანგ გორგასლის ქუჩა № 24ა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 405 087
info@justice.gov.ge

07 / ნოემბერი / 2023 წ.

KA010154388637923

№ 12441

ბატონ ნიკოლოზ ნიკოლაძეს
ელფოსტა: nikonikoladze@hotmail.com

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან გადმოგზავნილი თქვენი განცხადების (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის № 01/31288; თარიღი: 25.10.2023) პასუხად, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე დაყრდნობით, დანართის სახით გიგზავნით შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, გაცნობებთ, რომ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის უფლებები განსაზღვრულია „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ" საქართველოს კანონით, რომელიც შესაძლებელია, იხილოთ ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1524714?publication=9 .

დანართი: 1 (ერთი) ფაილი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

სალომე რთველაძე

თანამემამულის სტატუსის დადგენაზე დადებითად დასრულებული საქმეების სტატისტიკა (27.10.2023 მდგომარეობით)													
ტიპი	წელი												სულ
	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	
თანამემამულის სტატუსის მინიჭება	246	120	269	792	180	164	228	467	156	67	379	207	3275

Emailing: 38841, კანონი, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართ. მდგომარეობის შესახებ, კანონი, თანამემამულეებისა და დიასპ.ორგანიზ.შესახებ

MFA of Georgia <mfageo@mfa.gov.ge>
Wed 11/15/2023 10:18 AM
To:nikonikoladze@hotmail.com <nikonikoladze@hotmail.com>

3 attachments (746 KB)
38841.pdf; კანონი, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართ. მდგომარეობის შესახებ.pdf; კანონი, თანამემამულეებისა და დიასპ.ორგანიზ.შესახებ.pdf;

დაგვიდასტურეთ მიღება.

This email was scanned by Bitdefender

საქართველო

38841-01-2-202311151411

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/38841
15/11/2023

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძეს**

(მის: [redacted] მობ: [redacted]

ელ.ფოსტა: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი განცხადების პასუხად, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში წარმოგდენილი იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიმდინარე წლის 24 ოქტომბრის NGOV52300030920 წერილით, გაცნობებთ შემდეგს:

- უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე პირი, რომელიც კანონიერი საფუძვლით იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, სარგებლობს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით. გარდა ამისა, ,,უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-11-ე მუხლი განსაზღვრავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების პრივილეგიებს (იხ. დანართები).

- ,,უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ეხება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მინიჭების წესს თანამემამულის სტატუსის საქმისწარმოებას უზრუნველყოფს სსიპ - სერვისების განვითარების სააგენტო, შესაბამისად, თანამემამულის სტატუსის მქონე პირების შესახებ დეტალურ ინფორმაციას, ისევე, როგორც სხვა სახის სტატისტიკურ მონაცემებს მხოლოდ ხსენებული უწყება ფლობს.

ამასთან, დანართის სახით გიგზავნით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" და ,,უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ'' საქართველოს კანონებს.

*/დანართი: **50** (ორმოცდაათი) გვერდი/*

საქართველო

6063-01-2-202103121720

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/6063
12/03/2021

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძეს**

[redacted]

ელ. ფოსტა: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2021 წლის 2 თებერვლის განცხადების (რეგისტრაციის N3272/01) პასუხად, დანართის სახით გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დანართი: 17 (ჩვიდმეტი) გვერდი;

პატივისცემით,
ირაკლი ქოიავა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

1. **საზღვარგარეთ საქართველოს თანამემამულეთა რაოდენობა და მათი განსახლების ძირითადი ადგილები (ქვეყნები/ რეგიონები/ ქალაქები):**

პასუხი: არაოფიციალური მონაცემებით, საზღვარგარეთ საქართველოს მილონ ნახევრამდე მოქალაქე იმყოფება. ინფორმაცია უცხოეთში მყოფი თანამემამულეების რაოდენობისა და მათი ძირითადი განსახლების ქალაქების მითითებით:

ავსტრიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 5 000-მდე მოქალაქე იმყოფება. ქართველები ძირითადად დიდ ქალაქებში - ვენაში, ლინცში, გრაცსა და ზალცბურგში ცხოვრობენ. შედარებით ნაკლებია მათი რაოდენობა კლაგენფურტში, ინსბრუკსა და ბრეგენცში.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 10 ათასამდე მოქალაქე იმყოფება. გარდა ამისა, კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში წარმოდგენილია ისტორიული დიასპორა, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ აზერბაიჯანის მოქალაქე ეთნიკური ქართველები, რომელთა გარკვეულ ნაწილს მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობაც. რეგიონში 15 ათასამდე ეთნიკური ქართველი ცხოვრობს: კახის რაიონში, ძირითადად, ქართული გვარ-სახელის მქონე მართლმადიდებელი ქრისტიანები, ხოლო ზაქათალისა და ბელაქანის რაიონებში - აზერბაიჯანული გვარ-სახელის მქონე მუსლიმები. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ოფიციალური მონაცემებით, აზერბაიჯანში 2009 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ზემოაღნიშნულ რაიონებში ფიქსირდება 7849 ეთნიკური ქართველი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 100 000-მდე მოქალაქე იმყოფება. ქართველები ძირითადად ნიუ-იორკის, ნიუ-ჯერსისა და კალიფორნიის შტატებში ცხოვრობენ.

ბელარუსის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, ცხოვრობს საქართველოს 5 000-მდე მოქალაქე. ქართველთა უმეტესობა განსახლებულია მინსკსა და ოლქების ცენტრებში: ბრესტი, გომელი, მოგილოვი, გროდნო, ვიტებსკი.

ბელგიის სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 20 000-მდე მოქალაქე იმყოფება. ქართველების უმრავლესობა ცხოვრობს ბრიუსელში, ანტვერპენსა და ლიეჟში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში, სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, იმყოფება საქართველოს 30 000-მდე მოქალაქე. ძირითადად ცხოვრობენ ბავარიის, ბადენ-ვიურტემბერგის, ქვედა საქსონიის, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის, რაინლანდ-პფალცის, საქსონიის და ჰესენის ფედერალური მიწების დიდ ქალაქებში.

დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრები ქართველების რაოდენობა, არაოფიციალური მონაცემებით, 10 000-ს შეადგენს. ქართველები ძირითადად დიდ ქალაქებში, ლონდონში, ბირმინგემში, ბრისტოლში, გლაზგოსა და ედინბურგში ცხოვრობენ.

ესპანეთის სამეფოში, სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 35 000 მოქალაქე იმყოფება. მათი უმეტესობა კონცენტრირებულნი არიან შემდეგ ქალაქებში: ბარსელონა, მადრიდი, ალიკანტე, ვალენსია, არნედო.

ესტონეთში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 1000-მდე მოქალაქე იმყოფება. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა ქვეყნის დედაქალაქში, ტალინში ცხოვრობს.

თურქეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოქალაქე რაოდენობა 60 000-მდე მერყეობს.

ირლანდიაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 2 000-ს აღწევს, რომელთა უმრავლესობა დუბლინში ცხოვრობს.

ისრაელის სახელმწიფოში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 20 000-მდე თანამემამულე იმყოფება. ქართველები, ძირითადად, თელ ავივში, ხულონსა და ლოდში ცხოვრობენ.

იტალიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში 40 000-მდე საქართველოს მოქალაქე იმყოფება. ქართველები ძირითადად კონცენტრირებულნი არიან აპულიას (ბარი), ტოსკანას (ფლორენცია), ემილია რომანას (ბოლონია), ლაციოსა (რომი) და ლომბარდიის (მილანი) რეგიონებში.

კანადაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 5000-მდე მოქალაქე იმყოფება. ჩვენი თანამემამულეები ძირითადად ტორონტოში, მონრეალში, ვანკუვერსა და ედმონტონში არიან კონცენტრირებული.

კვიპროსის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს 10 000-მდე მოქალაქე იმყოფება. მათი უმეტესობა ძირითადად ქ. ნიკოზიაში, ქ. ლიმასოლსა და ქ. პაფოსში ცხოვრობს.

ლატვიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 500-მდე შეადგენს და ძირითადად ცხოვრობენ ქ. რიგაში.

ლიეტუვას რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 500-მდე შეადგენს და ძირითადად ცხოვრობენ ქ. ვილნიუსში.

მოლდოვას რესპუბლიკაში არაოფიციალური მონაცემებით, მოლდოვაში 500-მდე ქართველია. ისინი, ძირითადად, ქ. კიშინიოვში ცხოვრობენ.

ნიდერლანდების სამეფოში არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 5 000-მდე თანამემამულე იმყოფება, ქართული დიასპორის ძირითადი ნაწილი ქ. ამსტერდამში ცხოვრობს.

პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა 12 000-მდე იმყოფება.

პორტუგალიის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 3000-მდე მოქალაქე ცხოვრობს. ჩვენი თანამემამულეები ძირითადად ქ. ლისაბონსა და ქ. პორტოში ცხოვრობენ.

რუსეთის ფედერაციაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოქალაქე რაოდენობა 700 000 - 800 000 შეადგენს. ქართული დიასპორის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. მოსკოვსა და ქ. სანქტ–პეტერბურგში, თუმცა რეგიონებშიც ქართველთა დიდი რაოდენობაა კონცენტრირებული.

საბერძნეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, 200 000-მდე თანამემამულე ცხოვრობს. ქართველთა განსახლების ქალაქებია: ქ. ათენი, ქ. თესალონიკი, ქ. ნავპლიო და, ასევე, არიან კუნძულ კრეტაზე.

საფრანგეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საფრანგეთში 20 000-მდე ქართველი მიგრანტი ცხოვრობს. ქართველები ძირითადად ცხოვრობენ ქ. პარიზში, ქ. სტრასბურგში, ქ. ნანტში, ქ. რეიმსში, ქ. მონპელიეში.

სომხეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 1500-მდე მოქალაქე იმყოფება. მათი დიდი ნაწილი განსახლებულია ქ. ერევანში.

უკრაინაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 50 000-მდე მოქალაქე ცხოვრობს, რომელთა უმეტესობა განსახლებულია ქალაქებში: კიევი, ოდესა, ხარკოვი, ლვოვი და დნეპრი.

ფინეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 500-მდე მოქალაქე იმყოფება. თანამემამულეები ძირითადად ჰელსინკიში, ტამპერეში, ტურკუსა და როვანიემში ცხოვრობენ.

ყაზახეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, ქართველთა სავარაუდო რაოდენობა 10 000 ადამიანს შეადგენს. იმყოფებიან შემდეგ ქალაქებში: ნურსულთანი, ალმათი, აქტაუ, ატირაუ და ყარაგანდა.

შვედეთის სამეფოში, არაოფიციალური მონაცემებით, იმყოფება საქართველოს 3 000-მდე მოქალაქე. ქართველების უმეტესი ნაწილი ცხოვრობს ქალაქებში: სტოკჰოლმი, გოტენბურგი, მალმო და ლუნდი.

შვეიცარიის კონფედერაციაში, არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს 2 000-მდე მოქალაქე იმყოფება. თანამემამულეების უმეტესობა ცხოვრობს ციურიხში, ლუგანოსა და ბაზელში.

ჩეხეთის რესპუბლიკაში, არაოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით 3 000-მდე ქართველია და ძირითადად ქ. პრაღაში ცხოვრობს.

2. **საზღვარგარეთ საქართველოს თანამემამულეთა საქმიანობის და სახელმწიფო მხარდაჭერის საჭიროებების ძირითადი სფეროები;**
   - **პასუხი:** საზღვარგარეთ ემიგრაციის გამომწვევი ფაქტორები კომპლექსურია და დაკავშირებულია ძირითადად ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებთან. ადგილსამყოფელ ქვეყნებში თანამემამულეები როგორც ლეგალური (მუდმივი ან დროებითი ბინადრობის ნებართვები და მოქალაქეობა), ისე არალეგალური სტატუსით იმყოფებიან. უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობას შრომითი მიგრანტები წარმოადგენენ და ადგილსამყოფელ ქვეყნებში ძირითადად ოჯახებში დიასახლისებად მუშაობენ. ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შორის, ასევე, არიან მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში საქმიანობენ: კულტურის, ხელოვნების, მედიცინის, ბიზნესის სფეროებში, ასევე არიან სტუდენტები და აკადემიურ სფეროში მოღვაწე თანამემამულეები.

3. **თანამემამულეთა (და დიასპორული ორგანიზაციების) მიმართ არსებული საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის (როგორც საშინაო, ასევე საგარეო მიმართულებით) განმსაზღვრელი დოკუმენტები;**
   - საქართველოს კანონი „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ - დანართი 2.
   - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ - დანართი 3.
   - თანამემამულეთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის საკითხები გათვალისწინებულია 2021 – 2024 წლების სამთავრობო პროგრამაში: „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში და საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიაში.

4. **თანამემამულეთა (და დიასპორული ორგანიზაციების) მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის პრობლემები და გამოწვევები (ასეთი საკითხების იდენტიფიცირების არ განხორციელების შემთხვევაში, ასევე, გთხოვთ, მეცნობოს);**
   - **პასუხი:** 2020 წელს, დიასპორის მიმართ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულფასოვნად განხორციელებას ხელი შეუშალა მსოფლიოში გავრცელებულმა, კორონავირუსით (COVID-19)-ით გამოწვეულმა პანდემიამ. მიუხედავად დაწესებული შეზღუდვებისა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეძლო რიგი პროგრამისა და აქტივობის განხორციელება.

5. **დიასპორის საკითხთა მიმართულების სახელმწიფო მინისტრის აპარატის და სამინისტროს ქვეშ ფუნქციონირების შედეგების და შესაძლებლობების შედარებითი ანალიზი (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, ასევე, გთხოვთ, მეცნობოს);**

➢ **პასუხი:** დიასპორის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევისა და მათი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში უფრო მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, 2017 წლიდან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. დიასპორის საკითხების საგარეო უწყებაში გადასვლა მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო დიასპორასთან დაკავშირებულ საკითხებს თავის ერთ–ერთ უმთავრეს პრიორიტეტად განიხილავს და ამ ფორმით, დიასპორაზე, როგორც სამშობლოს განუყოფელ ნაწილზე ზრუნვას, მისი ინტერესების დაცვას და მათი წარმოშობის ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ჩართულობას უფრო მაღალ ხარისხში მოიაზრებს. დიასპორასთან დაკავშირებული პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ერთად, გააგრძელა და გააფართოვა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის არსებობისას დაწყებული პროექტების განხორციელება. დეპარტამენტის ინიციატივით არაერთი ახალი პროგრამის თუ აქტივობის განხორციელება დაწიყო. დიასპორის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით, შემუშავდა დიასპორასთან ურთიერთობის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი - პროგრამა „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორა". აღსანიშნავია, რომ ეს არის სტრატეგიული ხედვა და დიასპორასთან დაკავშირებით განსახორციელებელი საქმიანობის სამოქმედო გეგმა, რომელიც მსგავსი სახით პირველად იქნა მიღებული. საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების პროცესში და საქართველოს ახალ კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას იზრუნოს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, დიასპორის წარმომადგენელებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ახორციელებს თემატურ პროგრამებსა და აქტივობებს, რომელთა ნაწილი დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის არსებობის დროსაც ხორციელდებოდა.

საგარეო საქმეთა სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და განათლების საკითხებს. საზღვარგარეთ მოქმედ ქართულ საკვირაო სკოლებში სწავლების დონის ამაღლებისა და საერთო მიდგომების დანერგვის აუცილებლობიდან გამომდინარე, საგარეო საქმეთა სამინისტრომ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, შეიმუშავა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც გულისხმობს ქართული ენის კურსის ფარგლებში საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების შესწავლას. ამ ინტეგრირებული პროგრამის საფუძველზე შეიქმნა სპეციალური სამსაფეხურიანი სახელმძღვანელოების კომპლექტი, რომელიც მოიცავს მოსწავლის სახელმძღვანელოს, სამუშაო რვეულს, კალიგრაფიის რვეულს და მასწავლებლის გზამკვლევს. აღნიშნული სახელმძღვანელოები უსასყიდლოდ გადაეცემათ საზღვარგარეთ მოქმედი საკვირაო სკოლებსა და ქართული ენის შემსწავლელ კურსებს.

დიასპორასთან ურთიერთობის სისტემური მიდგომის დანერგვის და დიასპორული ინიციატივების წახალისების მიზნით, 2019 წლიდან საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერის" საგრანტო პროგრამას. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის განვითარებაში დიასპორის ჩართულობის ხელშეწყობა, დიასპორული ინიციატივების წახალისება, დიასპორაში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა, სახალხო დიპლომატიის განვითარება, თანამემამულეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

ახალგაზრდებთან და სტუდენტებთან ინსტიტუციონალური ურთიერთობის გაღრმავების მიზნით გრძელდება პროგრამის - „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი" განხორციელება.

პროგრამა მიზნად ისახავს „ახალგაზრდა ელჩების“ მიერ ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს პოპულარიზაციას, უცხოელ მეგობართა ქსელის შექმნას და ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ურთიერთობას. აღნიშნული პროგრამისადმი ყოველ წელს იზრდება ახალგაზრდების ინტერესი, რაზეც მიანიშნებს შემდგომი სტატისტიკა: 2018 წელს გამარჯვებულები 15 ქვეყანაში, ხოლო 2019 წელს, 25 ქვეყანაში გამოავლინა. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით.

საგარო საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და, ასევე, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) მხარდაჭერით, 2018 წლიდან, სახელმწიფოს მიერ დიასპორის წარმომადგენლების ღვაწლისა და ქვეყნის განვითარებაში შეტანილი წვლილის დაფასების მიზნით, ხორციელდება პროგრამა -„დიასპორის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება“. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საქართველოს განვითარების პროცესში მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამემამულეების ჩართულობის ხელშეწყობა. მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენენ ჩვენი თანამემამულეები, რომლებმაც პროფესიულ წარმატებებს მიაღწიეს ადგილსამყოფელ ქვეყნებში და ასევე, თავიანთი წვლილი შეიტანეს წარმოშობის ქვეყნის განვითარებაში.

ქართულ დიასპორასთან კომუნიკაციის გაფართოებისა და გაღრმავების მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, დიასპორული ვებ-პორტალი: www.gda.ge შექმნა. პირველად შეიქმნა საკომუნიკაციო პლატფორმა - ერთი ფანჯრის პრინციპზე, ურთიერთსარგებლიანობაზე დაფუძნებული, მომხმარებელზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ინფორმაციისა და სერვისების მიმწოდებელი დიასპორული ვებ-გვერდი, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები თანამემამულეების და მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ერთმანეთთან და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირს. ამ ეტაპზე ვებ გვერდი სატესტო რეჟიმში მუშაობს.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეების ადგილსამყოფელ ქვეყნებში ინტეგრაციის მიზნით, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) ერთად, საქართველოს მოქალაქეებისთვის მომზადდა და გამოიცა საბერძნეთის და იტალიის მიგრაციის კანონმდებლობის გზამკვლევები ქართულ ენაზე. გზამკვლევი პრაქტიკული სახელმძღვანელოა საბერძნეთსა და იტალიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტებისთვის და მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, როგორიც არის ვიზა, ბინადრობის ნებართვა და მისი მოპოვება, სოციალური დაცვა, დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანდაცვა და ა.შ. მზად არის ესპანეთის საიმიგრაციო კანონმდებლობის გზამკვლევიც, რომლის პრეზენტაცია უახლოეს პერიოდში იგეგმება.

საგარეო საქმეთა სამინსიტრომ დიასპორასთან უშუალო, მჭიდრო კონტაქტების დამყარების მიზნით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად მიიჩნია დიასპორის წარმომადგენლებთან რეგულარული შეხვედრების დაწესება, რაც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ დიასპორის პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის მექანიზმების ერთობლივად დასახვა, დიასპორისათვის სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების გაცნობა და დიასპორასთან დაკავშირებული საკითხების, წინადადებების, პროექტების შემუშავებაში მათი ჩართულობა. საგარეო საქმეთა მინისტრის დავალებით, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები გარკვეული პერიოდულობით, რეგულარულად მართავენ შეხვედრებს დიასპორის წარმომადგენლებთან.

6. ბოლო წლების განმავლობაში (არანაკლებ სამ წლიანი პერიოდი) თანამემამულეთა (და დიასპორული ორგანიზაციების) მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დახმარებების ძირითადი მიმართულებები (შედეგები).

- **პასუხი:** პანდემიის გამო მთელი რიგი ღონისძიებების გადადების მიუხედავად, საგარეო საქმეთა სამინისტრო, აგრძელებს დიასპორასთან მიმართებით დასახული პრიორიტეტების თანმიმდევრულ განხორციელებას, რომელიც არაერთ პროექტსა და პროგრამას მოიცავს. თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების წინაშე არსებული გამოწვევებისა და მათ საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორცილებული ძირითადი პროგრამებისა და აქტივობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-5 პუნქტში.


საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკა
აღდგენა
საგამონაკლისო
სხვა
476
3349
33
1866
1552
16
1013
819
7
1046
1785
15
710
844
13
2018
2019
2020
2021
2022 (7 თვე)

2018-2022 წლებში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკა მოქალაქეობის მიხედვით



NEWS On.ge

2 სექტემბერი 2022, 13:01

პოლიტიკა

2018-2022 წლებში საქართველოს მოქალაქეობა 8 464-მა ადამიანმა მიიღო, აქედან 72% რუსეთის მოქალაქე იყო



ფოტო: On.ge

482 წაკითხვა 55 გაზიარება https://go.on.ge/2z8h

ინფორმაციას ამის შესახებ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ავრცელებს.

რატომ არის მნიშვნელოვანი: IDFI აცხადებს, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით რუსეთის 551, ხოლო უკრაინის 8 მოქალაქეს მიენიჭა.

დეტალები: ორგანიზაციის ცნობით, 2018 წლიდან რუსეთის შემდეგ საქართველოს მოქალაქეობის მიმღები ყველაზე მეტი ადამიანი უკრაინის მოქალაქე იყო (428 პირი); შემდეგ სომხეთის (404); შემდეგ კი აშშ-ის (330).

723 მოქალაქეს მიენიჭა.

- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აცხადებს, რომ სააგენტოში საგამონაკლისო წესით მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით 2022 წელს წარმოდგენილი იყო რუსეთის 3 265 მოქალაქის განცხადება.
- მათივე ცნობით, მათგან საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 728 პირს, რომლებიც წარმოშობით საქართველოდან არიან და აკმაყოფილებენ კანონით დადგენილ მოთხოვნას.

კონტექსტი: IDFI ამბობს, რომ სტატისტიკის მიხედვით, ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობა ძირითადად რუსეთის მოქალაქეებს ენიჭებათ.

- მათივე ვარაუდით, რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილის კიდევ უფრო მეტად ზრდა, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ შექმნილი სიტუაციით გათვალისწინებით, მოსალოდნელია.

გაიგეთ მეტი: IDFI, სტატისტიკა, რუსეთის მოქალაქეობა

გაზიარება 55

კომენტარები

ბოლო ამბები:

ეკონომიკა
მწვანე პარასკევი აგროსფეროში — კომპანია მომხმარებელს

ბანკები და ფინანსები
თიბისის მხარდაჭერით, კოლიერსი საგურამოში და ლისზე



პოლიტიკა
რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციაზე დაზარალებული პოლიციელები პრეზიდენტს



პარლამენტის წევრის, ანა ნაცვლიშვილის სადეპუტატო **კითხვის** პასუხად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში აცხადებენ, რომ 43 488 ადამიანთან, ნახევარზე მეტს, 25 154 პირს საქართველოს მოქალაქეობა იმის გამო

COMMERSANT

LIVE 95.5

რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამო საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ძირითადი ყველაზე მაღალი 2013 წელს იყო, როდესაც ამ მიზეზით საქართველოს მოქალაქეობა 11 758 ადამიანს შეუწყდა.

რუსეთის მოქალაქეობის მიღების შედეგად, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის სტატისტიკა 2013-2023 წლების მიხედვით ასეთია:

- 2013 წელი - 11 758 ადამიანი;
- 2014 წელი - 2 874 ადამიანი;
- 2015 წელი - 2 523 ადამიანი;
- 2016 წელი - 1 071 ადამიანი;
- 2017 წელი - 1 206 ადამიანი;
- 2018 წელი - 877 ადამიანი;
- 2019 წელი - 692 ადამიანი;
- 2020 წელი - 252 ადამიანი;
- 2021 წელი - 354 ადამიანი;
- 2022 წელი - 1 358 ადამიანი;
- 2023 წელი (28 სექტემბრის მდგომარეობით) - 2 189 ადამიანი.

მსოფლიო

ფინეთი რუსეთთან ერთის გარდა ყველა სასაზღვრო პუნქტს ხურავს

22.11.2023 • 23:48

Re: საკანონმდებლო წინადადება - თანამემამულეები

niko nikoladze <[redacted]>
Wed 11/22/2023 3:47 PM
To:Parliament of Georgia <contact@parliament.ge>

კი ეგეც წინადადებაზე თანდართული მასალა - სტატისტიკური მონაცემები

From: Parliament of Georgia <contact@parliament.ge>
Sent: Wednesday, November 22, 2023 1:55 PM
To: niko nikoladze <[redacted]>
Subject: Re: საკანონმდებლო წინადადება - თანამემამულეები

დანართი 77 რომ გიწერიათ იქ არის 27 ფურცელი ასეუნდა იყოოოს?

From: niko nikoladze <[redacted]>
Sent: Wednesday, November 22, 2023 5:44 PM
To: Parliament of Georgia
Subject: საკანონმდებლო წინადადება - თანამემამულეები